საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ირ. აბაშიძის ქ. №38-ის მიმდებარედ, ამხანაგობა „ბარნოვი 140“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია შ.პ.ს. „თ.მ.ნ“-ს მიერ დამუშავებული, ქ. თბილისში, ვაკე-საბუთალოს რაიონში, ირ. აბაშიძის ქ. №38-ის მიმდებარედ, ამხანაგობა „ბარნოვი 140“-ის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, შესრულებული A-3 ფორმატზე, 6 ალბომის სახით.

პროექტს თან ახლავს არქიტექტურული ნაწილი და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის გეოლოგიური ტექნიკური გაანგარიშება, აგრეთვე, სივრცული კარკასის გაანგარიშება ЛИРА 9,0 პროგრამით.

მასალის გაცნობისას ირკვევა, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი შედგება ოთხი „A“, „B“, „C“ და „D“ კორპუსებისაგან. „A“ კორპუსი 15 სართულიანია, „B“ კორპუსი 13 სართულიანი, ხოლო „C“ და „D“ კორპუსები 2 სართულიანი, ყველა სარდაფებით

სარდაფის დონეზე განთავსებულია ავტოსადგომები. შენობის პირველი სართულის სიმაღლეა 4,95 მ, სადაც განთავსებულია სავაჭრო და საოფისე ფართები, ხოლო შემდგომი საცხოვრებელი სართულების სიმაღლე 3,30 მ-ის ტოლია.

შენობის მზიდი კონსტრუქციები წარმოადგენს მონოლითური რკინა-ბეტონის სვეტებისა და რიგელების ერთობლიობას.

სვეტების კვეთები ნულოვან ნიშნულზე ტოლია 0,7X1,2 მ და 0,5X0,8 მ, რომლებიც სართულიანობის მატებასთან ერთად მცირდება და უტოლდება 0,5X0,5 მ-ს.

რიგელების კვეთები ტოლია 0,6X0,7 მ და მცირდება 0,4X0,6 მ-მდე.

სართულშუა გადახურვები მონოლითური რკინა-ბეტონისაა, სისქით 200 მმ, სახურავი ბრტყელია და ატარებს ტერასის ფუნქციას.

კიბეები შესრულებულია ლითონის კასაურებით.

შენობის „A“ კორპუსი დაფუძნებულია რკინა-ბეტონის მონოლითურ წერტილოვან საძირკვლებზე, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება მონოლითური საძირკვლის კოჭებით.

„B“ კორპუსის დაფუძნება ხდება სწორკუთხა კვეთის 1,0X1,0 მ-ის ბურღვით ნატენ ხიმინჯებზე, რომელთა სიმაღლე 3,0 მ-ის ტოლია. ხიმინჯების თავები იკვრება როსტვერკებით, რომელთა ერთმანეთთან დაკავშირება ხდება რკინა-ბეტონის მონოლითური რანკოჭებით.

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის თანახმად, სამშენებლო უბანზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება არ არის მოსალოდნელი და იგი კარგ გეოლოგიურ პირობებში იმყოფება. გრუნტის წყლების ქიმიური ანალიზიდან სჩანს, რომ იგი დასაპროექტებელი კონსტრუქციების ბეტონის მიმართ არ არის აგრესიული.

საძირკვლის ფუძედ მიღებულია ლურჯი ფერის ქვიშა-ქვები, თიხაფილების შუა შრეებით, რომლის საანგარიშო წინაღობა ერთღერძა კუმშვისას ტოლია 260÷270 კგძ/სმ^2.

ზოგადი სეისმური დარაიონების მიხედვით ტერიტორია განეკუთვნება 8 ბალიან ზონას.

ЛИРА 9,0 პროგრამით სივრცული კარკასის გაანგარიშების გაცნობისას ირკვევა, რომ ავტორს გათვალისწინებული ჰქონდა თავდაპირველად მოსალოდნელი კორექტირება, ამიტომ სართულის დამატებამ პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საძირკვლებში ცვლილება არ გამოიწვია.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილისადმი ექსპერტს შენიშვნები არ აქვს.

საბოლოო საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ირ. აბაშიძის ქ. №38-ის მიმდებარედ, ამხანაგობა „ბარნოვი 140“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია შ.პ.ს. „თ.მ.ნ“-ს მიერ დამუშავებული, ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ირ. აბაშიძის ქ. №38-ის მიმდებარედ, ამხანაგობა „ბარნოვი 140“-ის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

შენობა და მისი ცალკეული ელემენტები გაანგარიშებულია მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე, აგრეთვე, 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე.

ანალიზისა და წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი პროექტი შესრულებულია მაღალ პროფესიონალურ და გრაფიკულ დონეზე და იგი აკმაყოფილებს საქართველოში მომქმედ სამშენებლო წესებსა და ნორმატივებს.

ყოველივე ამის საფუძველზე, შ.პ.ს. „თ.მ.ნ"-ს მიერ დამუშავებული კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

შპს „ახალი საქალამშემპროექტი"-ს დირექტორი ბ. მირიანაშვილი

ექსპერტი – კონსტრუქტორი – ვ. ციტაიშვილი

18.11.2011წ.